საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია ეხმიანება 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის მიერ გამოხატულ პროტესტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეროვნულ გალერეაში 2023 წლის 4 თებერვალს გახსნილი გამოფენის Ḍ□□□□□□□□□□□□ სარკესთან □ მონაწილემ, სანდრო სულაბერიძემ საკუთარი ნამუშევარი ჩამოხსნა და მის ადგილას საღებავით კედელზე დაწერა ფრაზა - **ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!** □□ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის Ḍ□□ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (□□□□□ □□ მიიჩნევს, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის Ḍ□□ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნებს. ქურდობა გულისხმობს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც, მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება. შესაბამისად, გამოძიების

დაწყება ზემოთ მითითებული კვალიფიკაციით, იმთავითვე არასწორია. დამატებით, ხაზგასასმელია, რომ გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საქმეებში სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები სისხლის სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებისას ვიწროა. ევროპული სასამართლო არაერთ საქმეში მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული სანქცია, თავისი არსით, ცენზურას არ უნდა უტოლდებოდეს და მსუსხავი ეფექტი არ უნდა ჰქონდეს კრიტიკული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობაზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ სანდრო სულაბერიძის ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, და ამ კუთხით მის წინააღმდეგ გამოძიების წარმოება მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებით განმტკიცებულ გარანტიებს. საია მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის გამოძიება ხელოვნების წარმომადგენლებზე ზეწოლის მექანიზმია, რომლის მიზანიც სხვა პირებისთვის არის ერთგვარი მითითება/გაფრთხილება, გარკვეულ საკითხებზე საკუთარი პოზიციების გამოხატვისგან შეიკავონ თავი.

აღსანიშნავია, რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში რეორგანიზაცია და მასშტაბური ცვლილებები დაიწყო. შედეგად, ამ დროისთვის მრავალი დასაქმებული გათავისუფლდა დაკავებული პოზიციებიდან. საია აქტიურად მუშაობს კულტურის სფეროში მიმდინარე შრომით დავებზე, რომლებიც სწორედ ახალი მინისტრის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგია. აქვე აღსანიშნავია, სახალხო დამცველის 2022 წლის 26 ოქტომბერის რეკომენდაცია განსხვავებული მოსაზრებების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, რომლის საფუძველზეც უწყებას დაევალა დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა, რაც სრულიად უპასუხოდ იქნა დატოვებული.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის საქმესთან დაკავშირებით რუსთაველის გამზირზე, ეროვნული გალერეის წინ, სახელოვნებო და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს გზავნილით Ḍ□□□□□□□□□ ცოცხალი და თავისუფალია □□ როგორც საჯაროდ გავრცელებული წყაროებიდან ირკვევა, საპროტესტო აქციაზე, სამოქალაქო აქტივისტს ნატა ფერაძეს სამართალდამცველები დაუპირისპირდნენ, რის შედეგადაც მან მიიღო ფიზიკური დაზიანება. მისი განცხადებით, სამართალდამცავები მას იმ საღებავების გამო დაუპირისპირდნენ, რომლებიც პარკში ეწყო და ისინი არ გამოუყენებია.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, როგორც აზრის გავრცელების საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით ისე საერთაშორისო აქტებით. შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, ცნობიერების ამაღლების, ცვლილებებისა თუ რეფორმების პროცესს და წარმოადგენს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშუალებას. სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს შეკრების თავისუფლებაში. ნებისმიერი ძალადობრივი აქტი არის არალეგალური და არღვევს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს. ნატა ფერაძის ინციდენტის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ ადგილი ჰქონდა შეკრების თავისუფლებაში არალეგიტიმურ ჩარევას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს შეწყვიტოს ხელოვნების წარმომადგენლებზე ზეწოლა და მათ საქმიანობაში უხეში ჩარევა, ასევე, თავი შეიკავოს შეკრების თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევისგან, ხოლო, გულდასმით შეისწავლოს ასეთი ფაქტები და მოახდინოს მასზე ჯეროვანი რეაგირება.

---

[1] Ḍ□□□□□□□□□□ დანიშვნის შემდეგ, ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულების ინტერესებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია დაიცავს □□ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი. 22.11.2021

ხელმისაწვდომია: http://bit.ly/40PGtWI განახლებულია: 12.02.23

[2] Ḍ□□□□□□□ დამცველმა ეკატერინე კიკნაძის, დინარა ვაჩნაძის, ნინო ხუნდაძისა და დავით ნიორაძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი დაადგინა □ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი. 27.10.2022. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3YJb72b განახლებულია 13.02.2023.

[3] იხ: Ḍ□□□□□□□ გალერეასთან მიმდინარე აქციაზე ინციდენტი მოხდა □□ რადიო თავისუფლება. 12.02.23 ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3HSs03H განახლებულია 13.02.2023

[4] საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 21. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3lA3EnB განახლებულია 13.02.2023.

[5] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 21 ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3XpZ74G განახლებულია 13.02.2023; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 11, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3XtpKW6 განახლებულია 13.02.2023.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 25.

[7] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bQA9EV განახლებულია 13.02.2023.